დანართი №1

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

"დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ფრანგული ენა)" საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
10.07.2026

დასკვნის წარდგენის თარიღი
22. 07. 2026

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	აირჩიეთ შესაბამისი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ჩქოტუა, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა დადუნაშვილი, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ფრანგული ენა)
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Primary, Lower, and Upper Secondary School Teacher Training Educational Program (French language)
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	მასწავლებლის მომზადება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	-
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	-
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	ფრანგული ენის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავდა ახალი პროგრამა - "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ფრანგული ენა)", რომელიც მოიცავს 60 კრედიტს. აღნიშნული პროგრამა, მისი მოცულობისა და შინაარსის გათვალისწინებით, იძლევა შესაძლებლობას, შეთავაზებული იყოს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ასევე მისგან დამოუკიდებლად.
"დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ფრანგული ენა)" მიზანია მოამზადოს ფრანგული ენის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი კომპეტენციები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, რომელთა საფუძველზეც შეძლებენ პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირებას, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, წარმართვასა და შეფასებას, რეფლექსიის საფუძველზე თვითშეფასებას, პროფესიული განვითარების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების
MES 4 26 0000809563, 26. 06. 2026 შესაბამისად, "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლისმომზადების (ფრანგული ენა)" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 10 ივლისს. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, რადგან პროგრამა ახალია, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებთნ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
ვიზიტის შემდგომ ექსპერტებმა მოამზადეს დასკვნის პროექტი.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების თემატიკაში აისახოს ენათა ევროპული ჩარჩოს შესაბამისი საკითხები: ენათა დონეებად დაყოფა, ენათა დონეებად დაყოფის სწავლება.

- **რჩევები**
  - სასურველია, რომ სასწავლო კურსების თემატიკაში კიდევ უფრო გაძლიერდეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და შესაბამისი კანონმდებლობის სწავლებისა და გამოყენების საკითხები.

  - სასურველია, პროგრამის განხორციელების პროცესში დამატებითი ყურადღება დაეთმოს ბავშვთა ფსიქოლოგიისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის პრაქტიკული კომპეტენციების გაძლიერებას, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მომავალი მასწავლებლების პროფესიულ მზადყოფნას მრავალფეროვან სასწავლო გარემოში მუშაობისთვის.

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

  - პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

    პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 15 პირი: 8 აკადემიური და 7 მოწვეული პერსონალი; სამეცნიერო და საერთაშორისო პერსონალი პროგრამაზე წარმოდგენილი არ არის. აკადემიური პერსონალის შემადგენლობაა 3 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი.
    პროგრამაში ჩართული პერსონალის აბსოლუტური უმრავლესობა დარგობრივი მიმართულებისაა (#14); მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხს ფლობს 10 პირი (7 აკადემიური და 3 მოწვეული). აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელ დარგობრივ და სამეცნიერო კომპეტენციას.
    აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (8:7) დაბალანსებულია აკადემიური პერსონალის მცირე უპირატესობით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობასა და სასწავლო პროცესის სტაბილურ წარმართვას, მოწვეული პერსონალის პრაქტიკულ/დარგობრივ ჩართულობასთან ერთად.

პროგრამის სრული აკადემიური პერსონალი (8 პირი) აფილირებულია დაწესებულებასთან. აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა კი შეადგენს 100%-ს. დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობასთან (20 სტუდენტი) მიმართებით აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა სათანადოა და აკმაყოფილებს პროგრამის მდგრადი ფუნქციონირების მოთხოვნას.

- სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანალიზი განხორციელდა პირადი საქმეების/CV-ების საფუძველზე, ბოლო 5 წლის მონაცემების გათვალისწინებით.
ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ჯამურად დაფიქსირებულია 30-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია/კვლევითი პროდუქტი (სტატიები, წიგნის თავები, კვლევითი ანგარიშები) და 40-ზე მეტი კონფერენციაში მონაწილეობა, რაც ადასტურებს პერსონალის აქტიურ ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.
ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამის პერსონალის მიერ საერთაშორისო ინდექსირებულ (Scopus/Web of Science ბაზაში აღრიცხულ, DOI-ის მქონე) რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებულია 2 ნაშრომი (გამომცემლობა Taylor & Francis-ის ჟურნალებში Assessment in Education: Principles, Policy & Practice და Early Child Development and Care). ამასთან, პერსონალის მიერ გამოცემულია პუბლიკაციები საერთაშორისო აკადემიურ გამომცემლობებთან (მათ შორის Routledge-ის გამოცემულ სამეცნიერო კრებულში) თანამშრომლობით მომზადებული მონოგრაფიის თავების სახით, ასევე ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების სახით.
პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად არის წარმოდგენილი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში. ბოლო 5 წლის განმავლობაში დაფიქსირებულია 40-ზე მეტი მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში (მათ შორის ისეთ ცნობილ საერთაშორისო ფორუმებში, როგორიცაა CIEF-ის მსოფლიო კონგრესები, EARLI-ის საერთაშორისო კონფერენცია და IEEE-ის საერთაშორისო კონფერენცია), რომლებიც ჩატარებულა ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. პარალელურად, პერსონალი მონაწილეობდა ადგილობრივ, საქართველოში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებშიც.
პროგრამის პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი ჩართულობა ვლინდება აგრეთვე შემდეგი ფორმებით: საერთაშორისო კვლევითი გრანტების მოპოვება და მათში მონაწილეობა (მათ შორის Erasmus+, USAID და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით); საერთაშორისო აკადემიურ

და საექსპერტო ორგანოებში (მათ შორის საგანმანათლებლო შეფასების საერთაშორისო ასოციაციებში) წევრობა; კვლევითი მივლინებები/სტაჟირებები უცხოურ საუნივერსიტეტო კვლევით ცენტრებში; ლიტერატურული თარგმანების გამოცემა; და საერთაშორისო პროფესიული ჯილდოებით დაჯილდოება. აღნიშნული საქმიანობა ადასტურებს, რომ პროგრამის პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი ჩართულობა სცილდება მხოლოდ პუბლიკაციური აქტიურობის ჩარჩოებს და მოიცავს კვლევის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და პროფესიული განვითარების ფართო სპექტრს.

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

პროგრამა ახალია და ჯერ არ ამოქმედებულა, შესაბამისად აკადემიური პერსონალის გადინება ბოლო 5 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა. პროგრამის ფარგლებში პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული ან ჩანაცვლებული აკადემიური პერსონალი არ ფიქსირდება. პროგრამის განმახორციელებელი 8-ვე აკადემიური პერსონალი დაწესებულების არსებული, აფილირებული აკადემიური კადრია, რაც პროგრამის ამოქმედების ეტაპზევე უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის სტაბილურობას. პროგრამის ამოქმედების შემდგომ, დაწესებულებაში მოქმედი წესები უზრუნველყოფს პერსონალის დენადობის მაჩვენებლის სისტემურ აღრიცხვასა და ანალიზს.

- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

ვინაიდან პროგრამა გადის პირველადი აკრედიტაციის პროცესს და მისი განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, ამ ეტაპზე არ არის ხელმისაწვდომი მონაცემები ჩარიცხული სტუდენტების, მათი აკადემიური პროგრესისა და სტუდენტთა განაწილების შესახებ სასწავლო წლების მიხედვით. პროგრამით განსაზღვრული სტუდენტთა მიღების მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 20 სტუდენტს.

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოთქმულ არგუმენტირებულ პოზიციას.

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
2.4	სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3.	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო
რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე
შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ფრანგული ენა)" მიზანია მოამზადოს ფრანგული ენის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი კომპეტენციები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, რომელთა საფუძველზეც შეძლებენ პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირებას, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, წარმართვასა და შეფასებას, რეფლექსიის საფუძველზე თვითშეფასებას, პროფესიული განვითარების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის მიზნები შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, ასევე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას. პროგრამა ითვალისწინებს ტრანსფერული უნარების განვითარებას, ანალიტიკური, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარის წარმოჩენას, გუნდურ მუშაობას და სხვ.
სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიზნები შეესაბამება მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ფრანგული ენა)" სწავლის შედეგები იყოფა ხუთ კომპონენტად და ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

1. მსჯელობს პიროვნების, განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიების გამოყენების მნიშვნელობაზე სასწავლო პროცესში და ქმნის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის როგორც მთლიანი კლასის, ისე თითოეული მოსწავლის, მათ შორის, სსმ მოსწავლეთა ფიზიკური, სოციალურ-ემოციური თუ კოგნიტური განვითარებისთვის ხელშემწყობ უსაფრთხო, ინკლუზიურ, თავისუფალ, კეთილგანწყობილ და მამოტივირებელ სასწავლო გარემოს;

2. ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე, ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებსა და ფრანგული ენის საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით, ასევე სწავლის უნივერსალური დიზაინის, დიფერენცირებული სწავლების, რემედიაციის

მიზნობრივი გამოყენებითა და სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით შეიმუშავებს კურიკულარულ და ექსტრაკურიკულარულ სასწავლო გეგმებს და მათზე დაყრდნობით ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის, მათ შორის, სსსმ მოსწავლეთა მაღალი სააზროვნო და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას.
3. მოიძიებს/ქმნის და იყენებს სასწავლო რესურსებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და აპლიკაციებს მათ შორის, ხელოვნურ ინტელექტს სასწავლო გეგმის მიზნების, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ასაკის გათვალისწინებით;
4. შეფასებას იყენებს როგორც სწავლის შედეგების გასაზომად, ასევე სწავლის შედეგების გაუმჯობესების გზების დასახვისთვის, ავლენს შეფასების მეთოდების და ინსტრუმენტების შერჩევის /მოდიფიცირების/ შექმნის ფართო ცოდნას და იყენებს პრაქტიკაში მიზნობრივად როგორც მოსწავლეების, ასევე საკუთარი პრაქტიკის შეფასებისთვის;
5. ჯგუფებთან და ინდივიდებთან ეფექტური კომუნიკაციის, დიალოგისა და თანამშრომლობის გზით აანალიზებს და აფასებს საკუთარ, პროფესიულ საჭიროებებს და გეგმავს პროფესიული განვითარების შესაბამის აქტივობებს.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ სწავლის შედეგების შემუშავება მოხდა მრავალმხრივი მუშაობის შედეგად როგორც პროგრამის განმახორციელებლებთან, ისე სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობით. აღინიშნა აგრეთვე, რომ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროფგრამის სწავლის შედეგების შემუშავება ეყრდნობა საერთაშორისო პრაქტიკებსა და კოლეგიალურ შეფასებებს. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არის რეალისტური. მოიცავს ცოდნისა და გაცნობიერების, დამოუკიდებლად მუშაობის უნარებს. სწავლის შედეგები შეესაბამება მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

○

[რეკომენდაციები]

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

○ არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში (ფრანგული ენა)" განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს როგორც პირდაპირი შეფასების მეთოდებს, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პირდაპირი შეფასების მეთოდები თითოეული სწავლის შედეგისათვის გაზომვისა და შეფასების ინსტრუმენტს, პერიოდულობასა და სამიზნე ნიშნულებს მოიცავს. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებად გამოყენებულია დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი. საბოლოოდ, ორივე მეთოდის გზით შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემები აისახება პროგრამის პერიოდული შეფასების ანგარიშში და გამოიყენება შემდგომ პრორგამის განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის. მიღებული მონაცემების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფი, გამოავლენს პროგრამის ძლიერსა და გასაუმჯობესებელ მხარეებს. უნივერსიტეტში განხორციელებული ვიზიტისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასება ხდება „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესის" შესაბამისად.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზანია დადგინდეს რამდენად აღწევს პროგრამა განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, რამდენად პასუხობს ის პროგრამის მონაწილეთა, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების საჭიროებებსა და მოთხოვნებს. შეფასების პროცესები ეფუძნება "PDCA" ციკლს და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესების მუდმივ გაუმჯობესებას. აღნიშნული შეფასება ორი ფორმით მიმდინარეობს: შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება. შუალედურიშეფასება ტარდება ყოველი სემესტრის დასასრულს პროგრამის მონაწილეების მონაწილეობით. დასკვნითი შეფასება კი ტარდება ორ წელიწადში ერთხელ, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს რეკომენდაციების შემუშავება.
სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შესაფასებლად გამოიყენება პროგრამის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, პედაგოგიური პრაქტიკის მონაცემების ანალიზი, პროგრამის მონაწილეთა გამოკითხვები, როგორც რაოდენობრივი კვლევა, ისე ფოკუს ჯგუფებთან მუშაობის შედეგები და სხვ.
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, დარგობრივ მახასიათებელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
-

[რეკომენდაციები]

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ფრანგული ენა)" შედგება 60 კრედიტისაგან. პროგრამის სტრუქტურა შედგება სამი კომპონენტისაგან: პედაგოგიკა - ფსიქოლოგიის ბლოკიდან 30 კრედიტი; ფრანგული ენის სწავლების ბლოკიდან 24 კრედიტი; სასკოლო პრაქტიკის ბლოკიდან 6 კრედიტი. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ითვალისწინებს ჩაშენებულ პრაქტიკასაც ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში.

პროგრამაში წარმოდგენილია სავალდებულო-არჩევითი კურსებიც, როგორც ეს დარგობრივი მახასიათებლით არის განსაზღვრული.

პედაგოგიკის ბლოკის საგნებია:

ეფექტური სწავლება, კომუნიკაცია და საკლასო მენეჯმენტი

სასკოლო ასაკის ბავშვის განვითარებისა და განათლების ფსიქოლოგია

საკლასო შეფასება

ინკლუზიური განათლება

ციფრული რესურსების გამოყენება სწავლებისას

სამშვიდობო განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

მედია და ინფორმაციული წიგნიერება სკოლებში

სასკოლო ურთიერთობების ეთიკა

ფრანგული ენის ბლოკის საგნებია:

ფრანგულის, როგორც უცხოური ენის, სწავლების მეთოდები. ენის ათვისების თეორიები. სწავლების ინტერკულტურული ასპექტები

კომუნიკაციური უნარ-ჩვევების - მოსმენა და ლაპარაკი - სწავლება ფრანგული ენის გაკვეთილზე.

კომუნიკაციური უნარ-ჩვევების -კითხვა და წერა - სწავლება ფრანგული ენის გაკვეთილზე.

ციფრული ტექნოლოგიების (TIC) სასწავლო პროცესში ინტეგრირება : საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - ინსტრუმენტები ფრანგული ენის კლასში".

საფრანგეთის ცივილიზაციისა და კულტურის სწავლების მეთოდები (ფრანგული, როგორც უცხო ენა

ლიტერატურა და კომუნიკაცია ფრანგული ენის გაკვეთილზე

სასკოლო პრაქტიკისათვის განსაზღვრულია 6 კრედიტი.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება შესასწავლ დარგს, სტრუქტურის ცალკეული კომპონენტების: პედაგოგიკა, ფრანგული ენა, სასკოლო პრაქტიკა, ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. სასწავლო კურსების წინაპირობები რეალისტურია და შეესაბამება მასწავლებლის მომზადების საფეხურს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ფრანგული ენა)" სასწავლო კურსები შედგება 6 და ან 3 კრედიტიანია. სასწავლო კურსებში წარმოდგენილია პედაგოგიკის მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე, ფრანგული ენის, როგორც უცხო ენის საკითხები და სასკოლო პრაქტიკა.

სასწავლო კურსების წინაპირობები ლოგიკურია და შეესაბამება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

სასწავლო კურსებში წარმოდგენილია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის შესაბამისი საკითხები. პედაგოგიკის ბლოკი მოიცავს იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც ეხება პედაგოგიკის თანამედროვე მეთოდებსა და ფსიქოლოგიას. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა (6 კრედიტი ან 3 კრედიტი) შეესაბამება კურსების შინაარსს, სწავლის მიზნებსა და შედეგებს.

სასწავლო კურსების ნაწილი ითვალისწინებს ჩაშენებულ პრაქტიკას, სკოლაში ვიზიტს და აღნიშნული გაწერილია შესაბამის სასწავლო კურსებში. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია თანამედროვე სასწავლო რესურსები და ლიტერატურა.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს და აგრეთვე, წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიც აღინიშნა, რომ სასწავლო კურსების შემუშავების დროს გათვალისწინებული იყო საერთაშორისო პრაქტიკა და საერთაშორისო პროექტები.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ნაწილი, კერძოდ, პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ბლოკი საერთოა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა მიმართულებისათვის. აკრედიტაციის ვიზიტის დროს

აღინიშნა, რომ პედაგოგიკის ბლოკმა გაიარა კლასტერული აკრედიტაცია, სასწავლო კურსებზე გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინებით კი პედაგოგიკის ბლოკი კიდევ უფრო დაიხვეწა.
ფრანგული ენის ბლოკის სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია როგორც უცხო ენის სწავლების სპეციფიკა, ისე ფრანგული ენის სწავლების თავისებურებები, მათ შორის, ენათა ფლობის ზოგადევროპული ჩარჩოს მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსებში: კითხვა-წერა და მოსმენა-ლაპარაკი, სასწავლო ლიტერატურაში მითითებულია ენათა ფლობის ზოგადევროპული ჩარჩო, თუმცა სასწავლო კურსის თემატიკაში არ არის ასახული ენათა დონეებად დაყოფის თავისებურებები.
პედაგოგიკის ბლოკში გაერთიანებულია დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი საკითხები, თუმცა სასურველია, რომ სასწავლო კურსების თემატიკაში კიდევ უფრო გაძლიერდეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და შესაბამისი კანონმდებლობის სწავლებისა და გამოყენების საკითხები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების თემატიკაში აისახოს ენათა ევროპული ჩარჩოს შესაბამისი საკითხები: ენათა დონეებად დაყოფა, ენათა დონეებად დაყოფის სწავლება.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია, რომ სასწავლო კურსების თემატიკაში კიდევ უფრო გაძლიერდეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და შესაბამისი კანონმდებლობის სწავლებისა და გამოყენების საკითხები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ფრანგული ენა)" დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია კანონის მიხედვით.
ჩარიცხვის წინაპირობებია: 1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და წარმატებით აქვს ჩაბარებული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული შესაბამისი საგნის გამოცდა. 2. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება.

ჩარიცხვის წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, დარგობრივ მახასიათებელს. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ფორმა და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ცნობილია დაინტერესებული აპლიკანტებისათვის, განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ასევე პროგრამის დანართშიც არის ასახული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
-

[რეკომენდაციები]

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ფრანგული ენა)" ხელს უწყობს პრაქტიკული, კვლევითი, ტრანსფერული უნარების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია სხვადასხვა უნარების განვითარება, მათ შორიუს, კრიტიკული აზროვნების უნარი, რაც ზოგადი და ტრანსფერული უნარების მნიშვნელოვანი კომპონენტია. პროგრამა ორიენტირებულია ცალკეული შემთხვევების ანალიზით სწავლებაზე, განზოგადებაზე. ასევე, პროგრამაში ყურადღება ექცევა ეფექტური კომუნიკაციის საკითხებს, რეფლექსიას,

სასწავლო პროცესზე დაკვირვებას და მის ანალიზს, დებრიფინგით სწავლებას, დისკუსიას, უკუკავშირს და სხვ.
სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში პრაქტიკული უნარების განვითარება ხდება სასკოლო პრაქტიკით და სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკით.
სასკოლო პრაქტიკისათვის პროგრამა თანამშრომლობს საჯარო სკოლებთან, სილაბუსის მიხედვით განსაზღვრულია პრაქტიკის ხელმძღვანელისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობები. პრაქტიკის პროცესში სავალდებულოა მთელი სემესტრის განმავლობაში სასკოლო პროცესზე დაკვირვება და ამავე პროცესში მონაწილეობა. სასკოლო პროაქტიკას გააჩნია მოსამზადებელი ეტაპიც, რათა სტუდენტს ჰქონდეს დრო, პროცესში ჩართვამდე დაგეგმოს საქმიანობა. აღსანიშნავია ისიც, რომ სასკოლო პრაქტიკა ხორციელდება უნივერსიტეტის მონიტორინგის ქვეშ. პრაქტიკის პერიოდში განხორციელებული ცალკეული აქტივობები, ისევე, როგორც დღიურები, ჩანაწერები, პრეზენტაციები, განიხილება საუნივერსიტეტო სემინარებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
-

[რეკომენდაციები]

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ტრანსფერული უნარების განვითარება	

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (ფრანგული ენა)" გამოიყენება სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდოლოგია. საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებიდან გამომდინარე, სწავლა-სწავლების მეთოდებს შორის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ინტერაქტიული ლექციები და სემინარები; დისკუსია და დებატები; ინდივიდუალური, წყვილებში და ჯგუფური მუშაობის მეთოდები; სიტუაციის ანალიზი (Case Study); პრეზენტაცია; დემონსტრირება; მოდელირება; გონებრივი იერიში; რეფლექსია; თანამშრომლობითი სწავლება; პროექტებზე/პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; როლური და სიტუაციური თამაშები/სიმულაციები; კოგნიტური დიაგრამებით სწავლება; უკუკავშირის მეთოდები;

პედაგოგიური პრაქტიკა; პედაგოგიური პრაქტიკაზე დაკვირვება, ანალიზი, რეფლექსია;

შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი და სხვ. სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილია ის მეთოდები, რომლებიც ცალკეული სასწავლო კურსებისათვის განსაზღვრულ სწავლის მიზანსა და სწავლის შედეგებს შეესაბამება. მეთოდთა მრავალფეროვნება გამოიყენება სხვადასხვა სასწავლო კურსში დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, შინაარსს, მიზანსა და სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- თვითშეფასების ანგარიში

- ინტერვიუს შედეგები
-

[რეკომენდაციები]

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტთა შეფასების სისტემა დაგეგმილია სწავლის შედეგებზე ორიენტირებული შეფასების პრინციპების შესაბამისად და უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას, ობიექტურობასა და კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას. სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ არის განსაზღვრული შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილი, რაც სტუდენტს წინასწარ აძლევს ინფორმაციას შეფასების პროცესის შესახებ და ქმნის სამართლიანი შეფასების წინაპირობას.

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ ცოდნის შემოწმებით და ორიენტირებულია მომავალი მასწავლებლის პროფესიული კომპეტენციების შეფასებაზე. შეფასების მეთოდები მოიცავს ისეთ აქტივობებს,

როგორიცაა მიკროსწავლება (სიმულაციური გაკვეთილები), რეფლექსიური ნაშრომები, თანატოლთა უკუკავშირი და პრაქტიკული საქმიანობის ანალიზი, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას ეტაპობრივად განივითაროს როგორც საგნობრივი, ისე პედაგოგიკური კომპეტენციები.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუებისას პროგრამის ხელმძღვანელმა, აკადემიურმა პერსონალმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ შეფასების სისტემა ეფუძნება განმავითარებელი შეფასების პრინციპებს და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტისთვის ხარისხიანი უკუკავშირის მიწოდებას. წარმოდგენილი მიდგომა ქმნის საფუძველს, რომ შეფასება გამოყენება არა მხოლოდ მიღწეული შედეგების დასადგენად, არამედ სტუდენტის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ინსტრუმენტად.

ვინაიდან პროგრამა წარმოადგენს პირველად აკრედიტაციაზე წარმოდგენილ ახალ საგანმანათლებლო პროგრამას, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებითი ინფორმაცია მიიღო მომიჯნავე მასწავლებლის მომზადების პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრის შედეგად. რესპონდენტებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების პრაქტიკა ხასიათდება შეფასების კრიტერიუმების წინასწარი გაცნობით, განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდებითა და სტუდენტთან ეფექტური კომუნიკაციით, რაც დამატებით ადასტურებს წარმოდგენილი შეფასების მოდელის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის კონცეფცია ითვალისწინებს თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს მოთხოვნებს, მათ შორის ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრაციას. ადმინისტრაციასთან და პროგრამის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა მკაფიო ხედვა იმის შესახებ, რომ აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს აკადემიური კეთილსინდისიერების, ეთიკური გამოყენებისა და პედაგოგიური მიზანშეწონილობის პრინციპებს. აღნიშნული მიდგომა შეფასების პროცესშიც ქმნის თანამედროვე და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს განვითარების წინაპირობას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, პროგრამაში სტუდენტთა შეფასების სისტემა აკმაყოფილებს სტანდარტის 2.4 კომპონენტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- ინტერვიუ მომიჯნავე მასწავლებლის მომზადების პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

[რეკომენდაციები]

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერ სერვისებს, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტის აკადემიური პროგრესის, პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობისა და კარიერული მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სტუდენტს ექნება შესაძლებლობა სასწავლო პროცესის განმავლობაში ისარგებლოს პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების საკონსულტაციო რესურსებით.

ვინაიდან პროგრამა პირველად არის წარმოდგენილი აკრედიტაციისთვის და მისი განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მომიჯნავე მასწავლებლის მომზადების პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრას, რათა შეფასებულიყო უნივერსიტეტში უკვე მოქმედი სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმების პრაქტიკული ეფექტიანობა.

ინტერვიუს მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტები პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიურ პერსონალს აღიქვამენ არა მხოლოდ სასწავლო პროცესის წარმმართველებად, არამედ პროფესიული განვითარების პროცესში აქტიურ მხარდამჭერებად. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ აკადემიურ და ადმინისტრაციულ საკითხებზე კონსულტაციის მიღება მარტივად იყო შესაძლებელი, ხოლო ლექტორები და პროგრამის ხელმძღვანელები ოპერატიულად რეაგირებდნენ სტუდენტების საჭიროებებზე. ინტერვიუების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ სტუდენტები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი მათთვის ხელმისაწვდომი საკონსულტაციო შესაძლებლობების შესახებ და აქტიურად სარგებლობდნენ მათით. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები მხარდაჭერის სისტემას არ აღიქვამდნენ მხოლოდ ფორმალურ ადმინისტრაციულ სერვისად; მათი გამოცდილებით, კონსულტაციები ორგანულად იყო ინტეგრირებული სასწავლო პროცესში და პასუხობდა როგორც აკადემიურ, ისე პრაქტიკულ და პროფესიულ საჭიროებებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის მომზადების პროგრამებისთვის, სადაც სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ეფუძნება პრაქტიკულ გამოცდილებას, რეფლექსიასა და პროფესიული უნარების ეტაპობრივ განვითარებას.

სტუდენტებთან შეხვედრისას ასევე გამოიკვეთა განვითარების ერთი მიმართულება. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები დადებითად აფასებდნენ პროგრამით მიღებულ გამოცდილებას და მხარდაჭერის ხარისხს, მათ ნაწილმა გამოთქვა სურვილი, რომ მომავალში მეტი ყურადღება დაეთმოს ბავშვთა ფსიქოლოგიისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის პრაქტიკულ ასპექტებს. აღნიშნული მოსაზრება ასახავს სტუდენტების ხედვას

პროგრამის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით და მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს პროგრამის განხორციელების პროცესში.

დამატებით, ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ წარმოდგენილ პროგრამაში გავრცელდება უნივერსიტეტში უკვე მოქმედი სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, მათ შორის ინდივიდუალური კონსულტაციები, პროფესიული ორიენტაცია, პრაქტიკის პროცესში მხარდაჭერა და საერთაშორისო თანამშრომლობით შექმნილი დამატებითი საგანმანათლებლო შესაძლებლობები. აღნიშნული გარემოებები ქმნის საფუძველს იმისთვის, რომ პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ ეფექტიანი აკადემიური და პროფესიული მხარდაჭერის გარემო.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში დაგეგმილი სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები შეესაბამება 3.1 კომპონენტის მოთხოვნებს და ქმნის სტუდენტზე ორიენტირებული, პროფესიული განვითარების მხარდამჭერი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბების წინაპირობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა და კურიკულუმი;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციური მოვალეობები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- ინტერვიუ მომიჯნავე მასწავლებლის მომზადების პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

[რეკომენდაციები]

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია, პროგრამის განხორციელების პროცესში დამატებითი ყურადღება დაეთმოს ბავშვთა ფსიქოლოგიისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის პრაქტიკული კომპეტენციების გაძლიერებას, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მომავალი მასწავლებლების პროფესიულ მზადყოფნას მრავალფეროვან სასწავლო გარემოში მუშაობისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

[რეკომენდაციები]

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2_____მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[5]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[6]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	15	14	10	8
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	4	3	3	4
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	7	7	3	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი	0	0	0	0

შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით და/ან პრაქტიკული გამოცდილებით, ხოლო მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისი გამოცდილებითა და კომპეტენციებით, რაც ასახულია პირად საქმეებსა და CV-ებში. პერსონალის შერჩევა და დასაქმება ხორციელდება საქართველოს

[5] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[6] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად, გამჭვირვალე და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას, ასევე შესაბამისი ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. კერძოდ, პროგრამაში ჩართულია 15 აკადემიური და მოწვეული პერსონალი (8 აკადემიური და 7 მოწვეული), სტუდენტთა/პერსონალის თანაფარდობა შეადგენს 1:14-ს. პერსონალის დატვირთვა განისაზღვრება ფაკულტეტზე შემუშავებული დატვირთვის სქემით, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებსა და სრულ დატვირთვას. აღნიშნული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში (ფრანგული ენა, როგორც უცხოური ენის სწავლება) და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. მისი კომპეტენცია დასტურდება სფეროში მრავალწლიანი აკადემიური/ადმინისტრაციული გამოცდილებით და საერთაშორისო თანამშრომლობით ფრანგულენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

პროგრამის სტუდენტები/მონაწილეები უზრუნველყოფილნი იქნებიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სპეციალისტი, განვითარებისა და ხარისხის მენეჯერი, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი და სხვა), რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;

- უსდ-ში არსებული პერსონალის მართვის პოლიტიკა და შერჩევის პროცედურები;
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- აკადემიური თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და დასაქმების პირობები; გამოცხადებული კონკურსები;
- მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშები და აფილირების წესი და პირობები;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა და პირადი საქმე;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება

4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია]	აირჩიეთ შესაბამისი

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

დაწესებულებას აქვს ჩამოყალიბებული და ფუნქციონირებადი მექანიზმები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისთვის:

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი კონკრეტული მეთოდებითა და ინსტრუმენტებით, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევით და სასწავლო საქმიანობას, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში — სწავლების პროცესში მონაწილეობას. პროცესს დეკანის ზედამხედველობით წარმართავენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალისტი, ხოლო შედეგები გამოიყენება პროფესიული განვითარების, წახალისებისა და დაწინაურებისთვის.

აკადემიური პერსონალი ავსებს ორწლიან თვითშეფასების ანგარიშს (პუბლიკაციები, მონოგრაფიები, რედკოლეგიის წევრობა, კონფერენციები, პატენტები, საერთაშორისო კოლაბორაციები და სხვ.), ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შეფასების წესის საფუძველზე.

მოქმედებს პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC), რომელიც სემესტრულად სთავაზობს ტრენინგ-მოდულებს აქტიური სწავლების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე; ასევე მოქმედებს წახალისების მექანიზმები (პასკალის პრემია, ინსტიტუციური განვითარების გრანტები).

სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური და განვითარების სამსახური უზრუნველყოფენ საგრანტო პროექტებში ჩართულობას, საერთაშორისო თანამშრომლობასა და დაფინანსების მოძიებას; ფუნქციონირებს განათლების კვლევების ცენტრი (2024) და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო (2017), რომლებიც არეგულირებენ კვლევითი საქმიანობის დღის წესრიგსა და შეფასების პროცესებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის საერთაშორისო კვალიფიკაცია (მაგ., AUF, CIEF, AFELSH-ის წევრობები, France Éducation Internationale-ის აკრედიტებული

გამომცდელის სტატუსი, აკადემიური პალმის რტოს ჯილდოები) ვიზიტისას დამატებით დადასტურდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- მოწვეული პერსონალის შეფასების წესი
- ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების ანგარიში
- პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის დებულება და ჩატარებული ტრენინგების ჩამონათვალი
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი
- სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება]	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების დოკუმენტისა და კამპუსის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა: სრულად აღჭურვილი სალექციო აუდიტორიები, ინფორმაციულ-კომპიუტერული რესურსცენტრები ღია დაშვების რეჟიმში, ბიბლიოთეკის მრავალფუნქციური სამკითხველო დარბაზები და ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილი სივრცეები.

აკადემიური პერსონალისთვის უზრუნველყოფილია ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებისთვის საჭირო სამუშაო სივრცე. ყველა სივრცე დაფარულია სადენიანი და უსადენო ინტერნეტით. ვიზიტის შედეგად დადასტურდა, რომ ინფრასტრუქტურა შესაბამისობაშია თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულ აღწერასთან.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მუდმივად განახლებად წიგნად ფონდს; ბიბლიოთეკისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლობით ხდება სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის იდენტიფიცირება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მათ შორის ბეჭდური და ელექტრონული „რიდერების“ სახით, საავტორო უფლებების დაცვით.

დამატებითი გადამოწმების შედეგად დადასტურდა, რომ სილაბუსებით განსაზღვრული ძირითადი ლიტერატურა რეალურად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ფონდში (მათ შორის ელექტრონული რესურსების სახით), რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო საკითხავი მასალის ხელმისაწვდომობას.

სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო აღიარებული სამეცნიერო ელექტრონული ბაზები (Scopus, ScienceDirect, JSTOR, ProQuest, SAGE, Taylor and Francis და სხვა) ერთიანი საძიებო სისტემის EBSCO Discovery Service მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს დარგის თანამედროვე სამეცნიერო მონაცემებზე წვდომას.

სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისთვის გამოიყენება საუნივერსიტეტო სისტემა „არგუსი“ (რეგისტრაცია, კურსების არჩევა, შეფასებები, კომუნიკაცია სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებთან). აღსანიშნავია, E-learning და Turnitin პლატფორმები ამ პროგრამის ფარგლებში გამოიყენება როგორც დამხმარე რესურსი (მაგ., აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმება).

მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსები თავისუფლად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის (ღია დაშვების კომპიუტერული რესურსცენტრები, თავისუფალი წვდომა ბიბლიოთეკის სივრცეებზე). ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები საჯაროდ არის განთავსებული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე და თვალსაჩინოა შესაბამის სივრცეებში.

ბიბლიოთეკა რეგულარულად სთავაზობს ტრენინგებს (სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე, საბიბლიოთეკო სერვისებზე, e-learning პორტალზე) როგორც სტუდენტებისთვის, ისე ლექტორებისთვის, რაც უზრუნველყოფს რესურსების გამოყენების შესახებ ინფორმირებულობას. ვინაიდან პროგრამა ჯერ არ ამოქმედებულა, ამ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ მექანიზმის არსებობის დადასტურება და არა მისი პროგრამის სტუდენტებზე რეალურად გავრცელების შემოწმება.

პროგრამის სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ 2019 წლიდან მოქმედი ინოვაციური განათლების კვლევითი ცენტრისა და 2024 წელს დაარსებული განათლების კვლევების ცენტრის რესურსებზე, მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიაზე, რაც მხარს უჭერს დარგობრივი კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

საჭიროებისამებრ და პროგრამასა და დაწესებულებას შორის შეთანხმების საფუძველზე, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პარტნიორი დაწესებულებების ინფრასტრუქტურითა და რესურსებით, რაც ავსებს

უნივერსიტეტის საკუთარ რესურსებს პრაქტიკული/კვლევითი საქმიანობის საჭიროებების შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სალექციო აუდიტორიები და კომპიუტერული რესურსცენტრები, საბიბლიოთეკო სივრცეები (ილიას დარბაზი, სულხან-საბა ორბელიანის დარბაზი და სხვ.)
- აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცეები
- ბიბლიოთეკის საქმიანობის აღწერა და სარგებლობის წესები
- წიგნადი ფონდის განახლების პროცედურა
- „რიდერის“ მომზადების წესი
- ინოვაციური განათლების კვლევითი ცენტრი (ierc.iliauni.edu.ge)
- განათლების კვლევების ცენტრის დებულება/საქმიანობის აღწერა
- კამპუსის ვიზიტის შედეგები

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.4. მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებში შედის სასწავლო გადასახადები, ეროვნული და საერთაშორისო ფონდების მიერ გაცემული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი გრანტები, სახელმწიფო დაფინანსება, ასევე კანონმდებლობით ნებადართული სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ფრანგული ენა) განსახორციელებლად საერთო ბიუჯეტი შეფასებულია 62,000 ლარის ოდენობით (გაანგარიშებულია ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულ 20 სტუდენტზე). პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული პირდაპირი და ირიბი ხარჯები მოიცავს: სასწავლო რესურსების განახლებას (საბიბლიოთეკო რესურსი, ინფრასტრუქტურა, პროგრამული უზრუნველყოფა), აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის სახელფასო დაფინანსებას, სასწავლო და სამეცნიერო მიზნებისთვის განკუთვნილ ხარჯებს, მიმდინარე საოფისე და ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ასევე პროგრამის შეფასების (აკრედიტაციის) ხარჯებს.

ბიუჯეტის ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამის ფარგლებში კონკრეტული თანხებია გამოყოფილი შემდეგი მიმართულებებისთვის: ლიტერატურისა და სხვა საბიბლიოთეკო რესურსის განახლება - 3,000 ლარი; ინფრასტრუქტურის განახლება და მოვლა-შენახვა - 7,000 ლარი; სასწავლო მასალებისა და სამეცნიერო მიზნით გაწეული სხვა ხარჯი - 1,000 ლარი; ექსპედიციები/სასწავლო პრაქტიკა/საკონფერენციო ხარჯი - 1,000 ლარი; პროგრამული უზრუნველყოფა - 800 ლარი; მიმდინარე საოფისე ხარჯი - 1,500 ლარი. სახელფასო ხარჯი, რომელიც ჯამში 25,000 ლარს შეადგენს, მოიცავს აკადემიური პერსონალის ანაზღაურებას (15,000 ლარი), მოწვეული ლექტორების ანაზღაურებას (5,000 ლარი) და სხვა პირდაპირ სახელფასო ხარჯს (5,000 ლარი). ადმინისტრაციული დანახარჯებისთვის გამოყოფილია 20,000 ლარი, ხოლო პროგრამის აკრედიტაციისა და განვითარებისთვის — შესაბამისად 1,700 და 1,000 ლარი.

ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და დიდწილად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული ხასიათის (სახელფასო, საბიბლიოთეკო და ინფრასტრუქტურული ხარჯები), ისე ერთჯერადი (პროგრამის აკრედიტაციისა და განვითარებისთვის გამოყოფილი თანხები). თვითშეფასების მასალების და ინტერვიუს შედეგების თანახმად, დაწესებულება მზადყოფნას გამოთქვამს ახლადშემოღებული საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერისთვის ერთიანი საუნივერსიტეტო ბიუჯეტის მეშვეობით, რაც ადასტურებს ინსტიტუციურ ფინანსურ შესაძლებლობას პროგრამის განსახორციელებლად და მდგრადი ფუნქციონირებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და]	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

[პროგრამის ფინანსური მდგრადობა](#)	

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის შიდა ხარისხის შეფასების სისტემა ეყრდნობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დამტკიცებულ და საჯაროდ ხელმისაწვდომ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებიც აგებულია PDCA ციკლის ლოგიკაზე და მასწავლებლის მომზადების პროგრამებისთვის დამატებით დაზუსტებულია სპეციალური წესებით — პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესითა და პროგრამების განხორციელების შეფასების წესით.

პროგრამაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან დადასტურებულია როგორც დოკუმენტურად, ისე ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუებით: პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ჩართულია შეფასების პროცესის დაგეგმვაში, ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასების განხორციელებაში; პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებელმა პერსონალმა ერთხმად დაადასტურა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერა პროგრამის მომზადების ყველა ეტაპზე და მოიყვანა სამუშაო პროცესის კონკრეტული მაგალითები.

თვითშეფასების ანგარიშის შედგენა წარიმართა თანამშრომლობითი პრინციპით. სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი იყო ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის სამუშაო ჯგუფი, პრაქტიკის კოორდინატორი, აგრეთვე

მომიჯნავე მიმართულების მონაწილეები და კურსდამთავრებულები. სამუშაო ჯგუფმა პროგრამა შეაფასა აკრედიტაციის სტანდარტებთან, დარგობრივ მახასიათებელთან, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან მიმართებით და გამოკვეთა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები; დოკუმენტის საბოლოო ვერსია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

პროგრამა ჯერ არ ამოქმედებულა, შესაბამისად, მისი განხორციელების პერიოდზე დაფუძნებული ხარისხის შეფასების საკუთარი მონაცემები (სტუდენტთა პროგრესია, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მონაცემები) ობიექტურად ვერ იარსებებდა. ეს პროგრამის ხარვეზად ვერ ჩაითვლება: შესაფასებელია, არსებობს თუ არა შესაბამისი მექანიზმები და ვრცელდება თუ არა ისინი პროგრამაზე ამოქმედების მომენტიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ ასეთი მექანიზმები დამტკიცებულია, პერსონალისთვის ცნობილია და მათი გამოყენება უზრუნველყოფილია. პროგრამის შემუშავების ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებები კი უკვე დაეყრდნო შეფასებით მონაცემებს, პროგრამის შემუშავების კვლევას, კოლეგიალურ შეფასებას და მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვისა და ფოკუს-ჯგუფების შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კონცეფცია, წესები და ინსტრუქციები
- მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი
- სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ოქმები
- პროგრამის შემუშავების კვლევა

[რეკომენდაციები]

–

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამამ შემუშავების ეტაპზე გამოიყენა გარე ხარისხის შეფასების ორი ურთიერთშემავსებელი მექანიზმი: პოტენციურ დამსაქმებლებთან ფოკუს-ჯგუფები და განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება. ორივე მექანიზმი დარგობრივად რელევანტურია და მათი გამოყენება ფორმალურ ხასიათს არ ატარებს.

დამსაქმებლებთან ფოკუს-ჯგუფის მუშაობა წარიმართა ინფორმირებულად. მონაწილეებს პროგრამა წინასწარ გადაეგზავნათ. მიღებული უკუკავშირი პროგრამამ არა მხოლოდ განიხილა, არამედ პრაქტიკულადაც გამოიყენა: დამსაქმებელთა აქცენტი პრაქტიკის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერებაზე პირდაპირ აისახა პროგრამის მოდიფიკაციაში. პრაქტიკის მუშაობის მოდელი ითვალისწინებს პარტნიორი ორგანიზაციების ჩართვას როგორც კონცეფციების შემუშავების, ისე პრაქტიკის ყველა ეტაპზე.

კოლეგიალური შეფასება განახორციელა სხვა უსდ-ში დასაქმებულმა ასოცირებულმა პროფესორმა, რომელიც იმავდროულად ფრანგული ენის სწავლა/სწავლების საერთაშორისო ექსპერტი და მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრის (ფრანკოფონია, ნიცა, საფრანგეთი) ტრენერია. შემფასებლის პროფილი უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივი აკადემიური, ისე საერთაშორისო პროფესიული პერსპექტივის ჩართვას, რაც პროგრამის დარგობრივ სპეციფიკას ზუსტად შეესაბამება. კოლეგიალური შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნა თვითშეფასების პროცესში პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრისას.

პროგრამა ჯერ არ ამოქმედებულა და აკრედიტაციას პირველად გადის, შესაბამისად, გარე შეფასების პერიოდულობა და აკრედიტაციის რეკომენდაციების შესრულების შედეგები ობიექტურად ვერ იქნებოდა წარმოდგენილი. ეს პროგრამის ხარვეზად ვერ ჩაითვლება: შესაფასებელია შესაბამისი მექანიზმების არსებობა და მათი პროგრამაზე

გავრცელება ამოქმედების მომენტიდან. უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის წესები და მასწავლებლის მომზადების პროგრამების განხორციელების შეფასების წესი ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- პოტენციური დამსაქმებლების ფოკუს-ჯგუფის ანგარიში
- პროგრამის კოლეგიალური შეფასება
- პროგრამის სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ოქმები

[რეკომენდაციები]

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[5.2. გარე ხარისხის შეფასება]	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების სისტემა ეყრდნობა უნივერსიტეტში დამტკიცებულ, მასწავლებლის მომზადების პროგრამებისთვის სპეციალურად შემუშავებულ განხორციელების შეფასების წესს, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა წყაროებს, შეფასების ციკლს, მონაწილეთა წრესა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურას.

შეფასების ინსტრუმენტთა ნაკრები კომპლექსურია და მონაცემთა ტრიანგულაციის საშუალებას იძლევა: სტატისტიკური მონაცემები, აკადემიური მოსწრების (მათ შორის პრაქტიკის ფარგლებში) ანალიზი, პროგრამის მონაწილეებთან სემესტრული ფოკუს-ჯგუფები, კურსდამთავრებულებთან ფოკუს-ჯგუფები, სამიზნე ნიშნულების ანალიზი და დაინტერესებულ მხარეთა (დამსაქმებლების, პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლებისა და დარგის ექსპერტების) უკუკავშირის ანალიზი.

სისტემის ორი ელემენტი განსაკუთრებით აღსანიშნავია. პირველი — შეფასების ორმაგი ტემპი: სრული ციკლი ორწლიანია, ხოლო პროგრამის მონაწილეებთან ფოკუს-ჯგუფი ტარდება ყოველი სემესტრის ბოლოს, რაც უზრუნველყოფს გამოწვევებზე დროულ რეაგირებას საანგარიშო ციკლის დასრულების მოლოდინის გარეშე. მეორე — მონაცემთა ლონგიტუდური ანალიზი: ყოველი მომდევნო საანგარიშო პერიოდის ანგარიშში ხდება შედეგების შედარება წინა პერიოდის მონაცემებთან, რაც პროგრამის განვითარების დინამიკისა და ტენდენციების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

შეფასების შედეგებზე რეაგირების ჯაჭვი დახურულია გადაწყვეტილების მიღების დონემდე: ანგარიში წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს განვითარების აქტივობების დასამტკიცებლად, შემდეგ კი შემაჯამებელი ანგარიშის სახით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და ვიცე-რექტორს, ხოლო ბოლოს აკადემიურ საბჭოს. ამრიგად, მონიტორინგის შედეგი აუცილებლად გარდაიქმნება ინსტიტუციურ გადაწყვეტილებად.

პროგრამა ჯერ არ ამოქმედებულა, შესაბამისად, მისი მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები ობიექტურად ვერ იარსებებდა. ეს პროგრამის ხარვეზად ვერ ჩაითვლება: შესაფასებელია მექანიზმის არსებობა, სისრულე და

პროგრამაზე მისი გავრცელება ამოქმედების მომენტიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ მექანიზმი დამტკიცებულია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის ცნობილია და მისი ამოქმედება უზრუნველყოფილია. ამასთან, მექანიზმის მოქმედების უნარი უკვე ემპირიულადაც გამოვლინდა — დამსაქმებელთა უკუკავშირის საფუძველზე პროგრამის პრაქტიკის მოდელის მოდიფიცირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი

[რეკომენდაციები]

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება]	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო პოპიაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

მაია ჩქოტუა

თეონა დადუნაშვილი -